საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №12

ქ. თბილისი 14.02.2019

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ქეთევან ქოქრაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;
ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი/მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, სხდომის თავმჯდომარე;
სერგო ჭელიძე - შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი, სამართალმცოდნეობის საბაკლავრო და სამართლის სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი;
ნიკოლოზ ჯავახიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;
გაიანე სიმონია - სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი, გერიატორის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;
ხათუნა თოდაძე - სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ნარკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
ანა ფირცხალაშვილი - შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი, სამართლის სკოლის პროფესორი, საჯარო მმართველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი;
მაკა ლაშხია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
გიორგი ქვარცხავა - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
დენიტა ბიბილეიშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს შემოქმედებითი კავშირ საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; სსიპ - საქარტველოს ტექნიკური უნივერსიტტის სწავლების დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების უფროსი;
ნინო ლიპარტია - ა(ა)იპ - იურიდიული პროფესიის განვითარების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, ა(ა)იპ - საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისთვის აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს მდივანი;
სალომე თოთიბაძე - სსიპ - საქარტველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტი;
თეა მჭედლური - საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის თელავის ფილიალის თავმჯდომარე, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი:

მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი:

ნიკოლოზ აბზიანიძე - ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
არჩილ სამადაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი;
ქეთევან ქუთათელაძე - პროფესორი;

მანანა მაღრაძე - პროფესორი.

ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი:

ვახტანგ ლეჟავა- რექტორი;

მარინა ქარჩავა- პრორექტორი;

ნათია სამუშია - პრორექტორი;

თეო ურუშაძე - აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის დეკანი;

ლევან გულუა - პროგრამის ხელმძღვანელი;

ნინო წიკლაური - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

ანა ბოკუჩავა - სამაგისტრო სკოლის კოორდინატორი;

ნატო კობახიძე - წარმომადგენელი.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:

ვასილ კიკუტაძე;
რუსუდან სეთურიძე;
დავით ცირამუა;
მანანა კევლიშვილი;
მერაბ მაჭავარიანი;
მალხაზ ბერეჟიანი;
ნინო დეკანოიძე.

ვიდეო ზარით ჩაერთო თამარ მაღალაშვილი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს წევრმა ქეთევან ქოქრაშვილმა.აბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისი N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსმა, მაია გელაშვილმა განაცხადა, რომ შპს საქართველოს თავისუფალმა უნივერსიტეტმა წერილობით მიმართა ცენტრს, რომ ბოლო საკითხის განხილვა გადადებულიყო შემდეგი სხდომისთვის, რადგან პროგრამის ხელმძღვანელი არ იმყოფებოდა საქართველოში.
შესაბამისად, მიზანშეწონილი იყო აღნიშნული საკითხის განხილვა მომხდარიყო შემდეგ სხდომაზე. აღნიშნული შუამდგომლობა გაიზიარეს საბჭოს წევრებმა.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შეცვლილი დღის წესრიგი.:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

წარმოდგენილი დღის წესრიგი ერთხმად იქნა დამტკიცებული საბჭოს წევრების მიერ.

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საინჟინრო მენეჯმენტი
კვალიფიკაციის დონე	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	მენეჯმენტის ბაკალავრი, 0203
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით თვითაცილება განაცხადეს საბჭოს შემდეგმა წევრებმა: ქეთევან ქოქრაშვილმა, გიორგი ქვარცხავამ, დენიტა ბიბილეიშვილმა, სალომე თოთიბაძემ.

აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომას წარუძღვა დამსწრეთა უმრავლესობით სხდომის თავმჯდომარედ არჩეული საბჭოს წევრი - ლევან გორდეზიანი.

სხდომის თავმჯდომარემ, მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, რომელმაც საბჭოს წევრებს გააცნო მათ მიერ საბაკალავრო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები.

1. რეკომენდირებულია პროგრამის იმ სტუდენტებისათვის, რომლებსაც მისაღებ ეროვნულ გამოცდებზე არ აქვთ ჩაბარებული მათემატიკა ან ფიზიკა შეთავაზებული იქნეს პრეკალკულუსის

სასწავლო კურსი, რაც ხელს შეუწყობს პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო მასალების ათვისებას;

2. რეკომენდირებულია მაქსიმალურად იქნეს გამიჯნული ერთმანეთისაგან ცალკეულ სასწავლო კურსებში განხილული თემატიკა, გადაფარვების თავიდან ასაცილებლად;

3. რეკომენდებულია პროგრამის სავალდებულო დისციპლინების მოდულში შეთავაზებული იქნეს შემდეგი სასწავლო კურსები: ,,ბიზნესის სტატისტიკა", ,,ფინანსური აღრიცხვა", „ბიზნესის სამართლებრივი საფუძვლები", სასწავლო კურსი ,,ეკონომიკის საფუძვლები" რომელიც 4 კრედიტის სახით არის წარმოდგენილი, გაიყოს ორ ნაწილად და შეთავაზებული იქნეს ეკონომიკა 1 და ეკონომიკა 2 სასწავლო კურსების სახით, ხოლო არჩევითი სასწავლო კურსი ,,აკადემიური წერა" გახდეს ასევე სავალდებულო;

4. რეკომენდირებულია პროგრამის სავალდებულო დისციპლინების ბადეში ზოგიერთი სასწავლო კურსების გამსხვილება (გაერთიანება) მაგალითად: უმჯობესია საინჟინრო მათემატიკა 1 , 2 და 3 ჩამოყალიბდეს ,,საინჟინრო მათემატიკის" ერთ სასწავლო კურსად, ასევე, ზოგადი ფიზიკა A და B ჩამოყალიბდეს ,,ზოგადი ფიზიკის" ერთ სასწავლო კურსად;

5. რეკომენდირებულია პროგრამის და ფაკულტეტის ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს პროგრამის ფარგლებში უცხო ენების სწავლების გაძლიერება;

6. რეკომენდირებულია დაზუსტდეს საბაკალავრო ნაშრომზე (პროექტი) და სასწავლო კურსზე „მენეჯერული ეკონომიკა" დაშვების წინაპირობა;

7. რეკომენდირებულია სასწავლო კურსის შინაარსის გათვალისწინებით დაკორექტირდეს პროგრამის ზოგიერთი სასწავლო კურსების სახელწოდება, მაგალითად: სასწავლო კურსი „ბიზნესი ინჟინერთათვის" სახელწოდება უნდა იყოს „ბიზნესის საფუძვლები", ხოლო სასწავლო კურსის „ტექნოლოგიათა სტრატეგიული მენეჯმენტს" სახელწოდება უნდა იყოს „სტრატეგიული მენეჯმენტი";

8. რეკომენდირებულია დაზუსტდეს საბაკალავრო ნაშრომის სტანდარტის აღწერაში ჩანაწერი საბაკალავრო ნაშრომის მოცულობის პარამეტრების შესახებ, კერძოდ ჩანაწერის მიხედვით არის ,,ნაშრომი უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 20 გვერდს,, უნდა იყოს ,,ნაშრომი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 20 გვერდს"; 4

9. რეკომენდირებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტთათვის მეტი საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების შეთავაზება, მათ შორის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით, მიზანშწონილია პროგრამის ფარგლებში სალექციო კურსის/ვორქშოპის ჩასატარებლად მოიწვიოს დარგის უცხოენოვანი სპეციალისტი/ექსპერტი;

10. რეკომენდირებულია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ინტერნაციონალიზაციის პროცესების გაღრმავება საზღვარგარეთ ტრენინგებსა და კონფერენციებში მეტი მონაწილეობის, საერთაშორისო აკადემიურ, კვლევით პროექტებში ჩართულობის გაზრდის გზით.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს, რომელმაც განაცხადა, რომ პროგრამა ამზადებდა ისეთ მენეჯერებს, რომლებიც ორიენტირებულნი იყვნენ ოპერაციულ პროცესებზე. მათი მიზანი იყო მინიმალური დანახარჯით მაქსიმალურ შედეგზე გასულიყვნენ. მთავარი სასწავლო კურსები იყო ხარისხის მენეჯმენტი, ოპერაციული მენეჯმენტი და მათ წინ იკითხებოდა ბიზნესის მიმართულებით სხვა საგნები. მენეჯერული საგნები შეადგენდა 75-80%, დანარჩენი საინჟინრო მიმართულებით იყო. პროგრამა ასევე ფოკუსირებული იყო ენერგეტიკისა და კავშირგაბმულობის მიმართულებით. აკრედიტაციის პროცესის შემდეგ კი შეიცვალა და დაემატა არჩევითი საგნები. სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ სასწავლო კურსებიდან აერჩიათ მათთვის სასურველი. შეიცვალა ასევე, საგნების შინაარსი. ითვალისწინებდნენ რეკომენდაციებს და ქმნიდნენ ლაბორატორიულ კურსს. ლაბორატორიულ სამუშაოს იყენებდნენ ილუსტრაციისათვის. ასევე, გეგმავდნენ გადასულიყვნენ გუნდურად

საბაკალავრო ნაშრომების შესრულებაზე. სტუდენტები დაამუშავებდნენ საკითხს გუნდურად და გაიტანდნენ დაცვაზე. უპირობოდ შესრულდებოდა შემდეგი საკითხები, დაემატებოდა ბიზნესის სამართლებრივი საფუძვლები და სტატისტიკა ბიზნესში. 4 კრედიტიან საგანში იქნებოდა მენეჯერული პროგრამა. აღმოიფხვრებოდა ნაწილობრივი გადაფარვები. ორი საგანს შეუცვლიდნენ სახელწოდებას.

ისეთ სტუდენტებს, რომლებსაც არ ჰქონდათ ჩაბარებული მათემატიკა მათთვის ჰქონდათ საგანი შესავალი პროფესიაში. რომელიც ამზადებდა მათ პროფესიაში, რასაც ჰქონდა კარგი შედეგი. იგივე იქნებოდა ფიზიკასთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ იკითხა, იღებდნენ თუ არა სტუდენტები მენეჯერის კვალიფიკაციას, რაზეც ექსპერტი დაეთანხმა.

სხდომის თავმჯდომარემ იკითხა, აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებული იქნებოდა თუ არა კარგი მენეჯერი, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ კარგი ცოდნისა და უნარების მქონე მენეჯერი იქნებოდა და არა მხოლოდ კაბინეტის, არამედ საწარმოსი, რომელიც შეძლებდა საწარმოს მართვას.

საბჭოს წევრმა სერგო ჭელიძემ იკითხა, რატომ გადაწყვიტეს, რომ ინგლისური ენა გაძლიერებულად უნდა ესწავლებინათ. რაზეც ექსპერტთა ჯგუფის წევრმა უპასუხა, რომ შეხვდნენ სტუდენტებს და მათ დააფიქსირეს სურვილი ინგლისური ენის უკეთესად სწავლების, რადგან ვერ იღებდნენ მონაწილეობას გაცვლით პროგრამებში.

საბჭოს წევრმა სერგო ჭელიძემ მიმართა დაწესებულებას კითხვით, კერძოდ, დაწესებულება აპირებდა სასწავლო კურსების დამატებას და რის ხარჯზე მოხდებოდა აღნიშნული. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სხვა საგნებს მოაკლებდნენ კრედიტებს ან გადაანაწილებდნენ, ჰქონდათ გარკვეული რეზერვიც.

საბჭოს წევრმა სერგო ჭელიძემ იკითხა, აპირებდნენ თუ არა საბაკალავრო ნაშრომის გუნდურად შესრულების დანერგვას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ გუნდურად მუშაობის პრაქტიკა აუცილებელი იყო, რადგან არც მენეჯერი და არც ინჟინერის საქმე ინდივიდუალურად არ ხორციელდებოდა.

საბჭოს წევრმა ანა ფირცხალაშვილმა იკითხა, კურსდამთავრებულების მაჩვენებელი იყო 28 %-ია, გამოვიდა, რომ 72 %-მა ვერ დაამთავრა, რა მიზეზები არსებობდა და თუ მუშაობდნენ პრობლემის აღმოსაფხვრელად. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ძირითადი პრობლემა იყო თანხის გადაუხდელობა. მათ მიიღეს 15 სტუდენტი და დაამთავრა 8 მათგანმა, ასევე აღნიშნა, რომ ყველა დასაქმებული იყო მენეჯერულ პოზიციაზე.

საბჭოს სხდომაზე 16:59 საათზე გამოცხადდა შესვენება.
საბჭოს სხდომა განახლდა 17:10 საათზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, საბჭომ გადაწყვიტა, რომ პროგრამის ფუქნციონირების უწყვეტობისა და პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით მიზნით, გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2019 წლის 10 იანვრიდან.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3^1 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 27^5 მუხლის მე-7 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.
გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2019 წლის 10 იანვრიდან.

საბჭომ იმსჯელა და განუსაზღვრა დაწესებულებას 6 თვის ვადაში ანგარიშის წარდგენა დასკვნაში ასახულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

2. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სასურსათო ტექნოლოგია
კვალიფიკაციის დონე	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სასურსათო ტექნოლოგიის ბაკალავრი, 0104
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, რომელმაც საბჭოს გააცნო მათ მიერ საბაკალავრო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რჩევები, რადგან რეკომენდაციები არ ჰქონდათ:

რჩევები:

- საჭიროა სასურსათო ტექნოლოგიის პროცესების უკეთ შესწავლისათვის სასწავლო კურსებში ,,ზოგადი ტექნოლოგია I" და „ზოგადი ტექნოლოგია II" გაფართოვდეს ჰიდრავლიკის საკითხები, რათა სტუდენტები გაეცნონ სასურსათო ტექნოლოგიაში ფართოდ გამოყენებულ ჰიდრომექანიკურ პროცესებს და შესაბამის აპარატებს. აღნიშნული რჩევა განხორციელებადია დამატებითი საგნების შემოღების აუცილებლობის გარეშე.
- რამდენადაც პროგრამა არ ითვალისწინებს კოლოიდური ქიმიის ცალკე კურსს,სასურველია ზოგადი ქიმიისა და ფიზიკური ქიმიის შესაბამისი თავების სწავლებისას ყურადღება გამახვილდეს სასურსათო ტექნოლოგიასთან დაკავშირებული პროდუქტების, ნედლეულისა და სხვა მასალების, როგორც კოლოიდური სისტემების მაგალითებზე.
- სასურველია სასწავლო კურსი ,,ბიოქიმია 2" კურიკულუმის სავალდებულო ბლოკიდან გადატანილ იქნეს არჩევით ბლოკში.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს, რომელმაც აღნიშნა, რომ იმსჯელეს რიგ საკითხებზე და შეიძლებოდა მათი გათვალისწინება, თუმცა იქვე აღნიშნა, რომ გარკვეული საკითხები უკვე გათვალისწინებული ჰქონდათ.

საბჭოს წევრმა გიორგი ქვარცხავამ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი იყო კომპეტენციების რუკა. სადაც იყო ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები. აღნიშნული რუკა და შედეგების შეფასება არ იძლეოდა ზუსტ წარმოდგენას, თუ როგორ ხდებოდა ზუსტი შეფასება. საბჭოს წევრმა გიორგი ქვარცხავამ იკითხა „სასურსათო ტექნოლოგის" კვალიფიკაცია ხომ არ დადგებოდა ეჭვის ქვეშ თუ სასწავლო კურსში არ იქნებოდა ისეთი საგანი როგორიცაა „კოლოიდური ქიმია".

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კოლოიდური ქიმიის საკითხები გარკვეული დოზით სხვადასხვა სილაბუსებში იყო ჩაშლილი, თუმცა წინადადება ნაწილობრივ მისაღები იყო და იფიქრებდნენ ამ საგნის საკითხების კიდევ უფრო გაძლიერებაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა ვახტანგ ლეჟავამ განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში უნდა გადაეხედათ სწავლის შედეგებისთვის, თუ სტუდენტების კომპეტენცია იძლეოდა საფუძველს და შეინიშნებოდა კომპეტენციის დაბალი დონე, მაშინ შეიძლება ემსჯელათ. თუმცა შეიძლება ყოფილიყო განსხვავებული მოსაზრებები. მისი აზრით, თუ შედეგი დაკმაყოფილებული იყო იმას ნიშნავდა, რომ პრობლემაც არ არსებობდა.

საბჭოს სხდომაზე 17:27 საათზე გამოცხადდა შესვენება.
საბჭოს სხდომა განახლდა 17:35 საათზე.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3^1 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

17:40 საათზე სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა ანა ფირცხალაშვილმა.

3. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	აგრარული მეცნიერებანი
კვალიფიკაციის დონე	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	1. აგრარული მეცნიერების მაგისტრი აგრონომიაში 0101; 2. აგრარული მეცნიერების მაგისტრი სასურსათო ტექნოლოგიაში 0104; 3. აგრარული მეცნიერების მაგისტრი სატყეო საქმეში 0105;
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, რომელმაც საბჭოს წევრებს გააცნო მათ მიერ სადოქტორო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რჩევები, რადგან რეკომენდაციები არ ქონდა ექსპერტთა ჯგუფს.

რჩევები:

- სასურველია სასწავლო კურსში სატყეო პოლიტიკა და კანონმდებლობა სამომავლოდ გათვალისწინებული იყოს ტყის რეპროდუქციული მასალების საერთაშორისო ვაჭრობის პრაქტიკა OECD-ის სქემის მიხედვით.
- სატყეო საქმის და აგრონომიის მოდულში წარმოდგენილ სასწავლო კურსებში- არამერქნითი რესურსები, ტყის დაცვა მავნებელ-დაავადებებისაგან და მცენარეთა დაცვის ლაბორატორიული

მეთოდი - მოძველებული ლიტერატურა შეიცვალოს ახალი ლიტერატურით, რომელიც დამხმარე ლიტერატურადაა მითითებული.

- სასურველია ზოგიერთი სასწავლო კურსის შეფასებაში თითოეული რუბრიკების ბიჯი იყოს შემცირებული, რათა უფრო გასაგები და გამჭვირვალე იყოს შეფასება თითოეული სტუდენტისათვის.

საბჭოს წევრმა მიმართა ექსპერტებს კითხვით, რომ საუკეთესო პრაქტიკად ჰქონდათ გასაუბრება დასახელებული და რაში ხედავდნენ მის განსაკუთრებულობას, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ სტუდენტი მიდიოდა მისი საკვლევი თემით და ასევე, იყვნენ სტუდენტები, რომლებიც მიდიოდნენ კონკრეტული იდეებით და გასაუბრებაში იყო გამოკვეთილი ინტერესი.

საბჭოს წევრმა გიორგი ქვარცხვამ იკითხა, რომ ბოლო წლებში რამდენი კურსდამთავრებული ჰყავდათ, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში ჰყავდათ 149 კურსდამთავრებული.

საბჭოს წევრმა გიორგი ქვარცხავამ იკითხა, თუ რატომ იყო არჩევით საგნებში ისეთი საგანი როგორიცაა „ტყის ინვენტარიზაცია" და როგორ გადიოდა შედეგზე სტუდენტი თუ ამ საგანს არ აირჩევდა. ასევე გამოთქვა აზრი, რომ ამავე სილაბუსში არსებული ზოგიერთი საკითხი საჭიროებდა დახვეწას სწავლების საფეხურის შესაბამისად. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გამოასწორებდა აღნიშნულ საკითხებს.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 17:52.
შესვენება განახლდა 18:10 საათზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საბჭომ იმსჯელა და მიიჩნია, რომ მე-2 სტანდარტი უნდა შეფასებულიყო, როგორც მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3^1 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭომ იმსჯელა და განუსაზღვრა დაწესებულებას 6 თვის ვადაში ანგარიშის წარდგენა შესასრულებელ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 17:52 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ქეთევან ქოქრაშვილი

ლევან გორდეზიანი

მდივანი
ნინო ლიპარტია